


იმიგრაცია საქართველოში

ვინ ითვლება იმიგრანტად და რაბენი იმიგრაცია საქართველოში?


საქსტატის განსაზღვრებით,

იმიგრანტად მიიჩნევა ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ბოლო 12 თვეში 183 დღე ან მეტი იმყოფებოდა საქართველოს ტერიტორიაზე და, ამასთანავე, წინა 12 თვის განმავლობაში 183 დღე ან მეტი საქართველოს ფარგლებს გარეთ ჰქონდა გატარებული.


ამ განმარტებით, 2016 წელს საქართველოში 90,228 იმიგრანტი იყო.



მათგან 42 925 უცხო ქვეყნის მოქალაქეა.




უცხო ქვეყნის მოქალაქე იმიგრანტების რაოდენობა 11 751-ია.




2014 წლის მოსახლეობის აღწერის

მეთოდოლოგიით, იმიგრანტად მიჩნეულია ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც ოდესმე უცხოვრია საზღვარგარეთ 12 თვეზე მეტ ხანს. ამ განმარტების მიხედვით, 2014 წელს საქართველოში 184,629 იმიგრანტი აღირიცხა. მათი 91% მხოლოდ საქართველოს მოქალაქეა, 3%-ს ორმაგი მოქალაქეობა აქვს, დარჩენილი 6%-იდან კი უმეტესობა რუსეთის მოქალაქეა.




საიდან და რისთვის ჩამოდიან საქართველოში?

საქართველომ ბოლო 2015-2016 წლებში 46 581 ბინადრობის ნებართვა გასცა უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე. მათი დიდი ნაწილი შრომითი ბინადრობის ნებართვებია.



შრომის ბაზრის კვლევის მიხედვით, დამსაქმებლის მიერ უცხოელების დასაქმების მიზნად ყველაზე ხშირად, ადგილობრივ ბაზარზე არსებული სამუშაო ძალის დაბალი კვალიფიკაცია სახელდება.

ვინ ყიდულობს საქართველოში უჩიავ ქონებას?



2012-2016 წლებში უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ საკუთრების უფლებით რეგისტრირებული 34 024 უძრავი ქონება დაფიქსირდა



იმიგრაციის გავლენა

უცხოელი სტუდენტები საქართველოში წლიურად 195 მილიონ ლარზე მეტს ხარჯავენ, რაც მომსახურების ექსპორტის 6%-ია.



2015-2016 წლებში უცხოელების მიერ დაფუძნებულმა იურიდიულმა პირებმა, გადასახადის სახით, სახელმწიფო ბიუჯეტში 69 მილიონ ლარზე მეტი შეიტანეს.

